

# ხობის მოამბე


№1 (7141)
31 იანვარი, ორშაბათი.
2022 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

28 იანვარს, ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე.



სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. მათ შორის, დადგენილების პროექტი:

„ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა გაიზარდა 2936,4 ათასი ლარით და შეადგენა 16618.9 ათასი ლარი.

სხომაზე ასევე განხილულიქნა დადგენილების პროექტი:

„ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც მერიას დროებით შეუჩერდა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება. მისი განხორციელება გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

განკარგულების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება, ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, სოფელ ზუბის საბავშვო ბაღი პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ (უზუფრუქტის ფორმით), არსებობის ვადით გადაეცა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას“.

სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და მერიის მიერ 2022 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის ახალი შენობა გაიხსნა



თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ბაღი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ქავთარაძემ, მერმა დავით ბუკიამ და სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ დავით კუხალეიშვილმა გახსნეს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღსაზრდელებს და პედაგოგებს კეთილმოწყობილ გარემოში სწავლის განახლება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.



საბავშვო ბაღი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით აშენდა და მისმა ღირებულებამ 500 000 ლარი შეადგინა.

პირველ ხორგაში საბავშვო ბაღი ადმინისტრაციული შენობის ამორტიზირებულ ოთახში იყო განთავსებული. თანამედროვე სტანდარტებით აშენებული საბავშვო ბაღი 30 აღსაზრდელზეა გათვლილი.

## შავღელეს ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია დამთავრდა



თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი სკოლა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძემ, მერმა დავით ბუკიამ და ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ბეატრისა რუსიამ გახსნეს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსწავლეებსა და პედაგოგებს მიულოცეს კეთილმოწყობილ გარემოში სწავლის პროცესის განახლება და წარმატებები უსურვეს მათ.



საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციაზე 2 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

## 2021 წლის 29 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი–ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

დაწვრილებით იხილეთ 4-10 გვ.

# წარსულისა და აწმყოს შეხიდება...

## საზოგადოება „ხობელი“ დაფუძნდა

დეკემბერი მუნიციპალიტეტში სასიამოვნო კულტურული ღონისძიებებით იყო გამორჩეული. 24 დეკემბერს კულტურის სახლის მცირე დარბაზში უჩვეულო განწყობა სუფევდა. დაანონსებული იყო, რომ იქ მუნიციპალიტეტის დამსახურებულ, საპატიო სასურველ სტუმრებს ელოდნენ, რათა დაფუძნებულიყო საზოგადოება „ხობელი“.



ამ დღისთვის მზადება ადრევე დაიწყეს საზოგადოების დაფუძნების ორგანიზატორებმა ბატონებმა მერაბ სალაყაიამ, ბეჟან ნადარაიამ, გოგიტა ჩიტაიამ, დემურ ბუკიამ და ქალბატონმა ნაირა ბერაიამ.

გავკადნიერდები და ვიტყვი, ეს შეხვედრა იყო მეტად ემოციური... აქ თავმოყრილმა ადამიანებმა თითქოს ახლა დაიწყეს ცხოვრება, უჩვეულო მიკითხვ-მოკითხვაში იგრძნობოდა გულწრფელი სიხარული და უპირველესად მონატრება... მონატრება იმ სიყვარულის, ურთიერთობების, თუნდაც ახალგაზრდული ენერგიის... ეს იყო გასული საუკუნის დასასრულისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის შეხვედრა, რომელიც ერთგვარად აჯამებდა დროის ამ მონაკვეთს...



დარბაზი სავსე იყო სითბოთი და სიყვარულით. როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი... დამსწრეთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ზოგი კი ცდილობდა...

საზოგადოება „ხობელის“ დამფუძნებელთა კრებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ლევან ქავთარაძე.

კრების მონაწილეებს წესდება და სამომავლო გეგმები გააცნო ბატონმა მერაბ სალაყაიამ. მან, თავად გამოცდილმა ორგანიზატორმა და ერთ-ერთმა ყოფილმა ხელმძღვანელმა დიდი სითბო და სიყვარული გამოხატა დამსწრე საზოგადოების მიმართ.

კრება, რა თქმა უნდა, წესისამებრ ჩატარდა. აირჩიეს საზოგადოება „ხობელის“ გამგეობის თავმჯდომარე (ბატონი ბეჟან ნადარაია), აღმასრულებელი მდივანი (ქალბატონი ნაირა ბერაია), თავმჯდომარის მოადგილეები, საპატიო თავმჯდომარე და სხვა პასუხისმგებელი პირები...

ბატონები გურამ კვიკვინია, ლაჟვარდ ბუკია, ვილენ ჯობავა, რევაზ ლატარია, ვაჟა ბუკია, შალვა კობახიძე, დემურ ბუკია, ვლადიმერ ქანთარია, როსტევან გვარამია, ბადრი ლომაია და მრავალი სხვა თავიანთ გამოცდილებას აზიარებდნენ.

კრების მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ თავად სახელოვანი და ღვაწლმოსილი მამების შვილები, მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, მათმა სიტყვებმა მსმენელების გულისგული დაიპყრო, მათ ემოციებით გამოხატეს მადლიერება...

სიმბოლურად გაიჭრა სახელდახელო ტორტი და „ხობელის“ დაფუძნებაც დაილოცა...

სიამაყით უნდა ვთქვა, გაზეთი „ხობის მოამბე“, რომლის გამოცემაც იმ დღეს დაემთხვა, მონატრებია საზოგადოებას, დიდი ინტერესით ეცნობოდნენ, სამადლობელი არ ელეოდათ იმის გამო, რომ გაზეთს (მათი ცხოვრების მემატიანეს) არ დაუკარგავს აქტუალობა.

სასიამოვნოდ დარჩა მეხსიერებაში, რომ დარბაზში მხცოვან ადამიანებს გვერდს უმშვენებდნენ მუნიციპალიტეტის წარმატებული ახალგაზრდები ნიშნად იმისა, მაგალითს დიდი ძალა აქვს... მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი წესითა და რიგით მიდიოდა, როცა დარბაზს გადახედავდი შეხვედრას სევდაც ეპარებოდა, სევდა იმისა, როგორ აკლდნენ მათ ამქვეყნიდან წასული ადამიანები ბატონები: ვალიკო კილასონია, თემურ სალაყაია, ვახტანგ დოლბაია, ნოდარ შონია, ვლადიმერ ქორთუა, ველოდი შონია, შალვა ხარებავა, მერი აბრამია, ნაირა და ნელი ბუკიები, ველოდი შონია, შალვა კემულარია, ჟორჟი ბუკია, ვახტანგ სერგია, ვალტერ ბერაია და მრავალი სხვა, ვის მხრებზეც მოაბიჯებდა რაიონის მომავალი.

ეს იყო სითბოთი და სიყვარულით, წარსულის პატივის მიგების, მომავლის რწმენის ულამაზესი საღამო... ისღა დაგვრჩენია გზა დავულოცოთ წარსულისა და მომავლის შეხიდებას– საზოგადოება „ხობელს“...

...ნელ-ნელა ბინდი შეეპარა საღამოს, ცენტრალურ პარკში ლამაზად მორთული ნაძვის ხე გარემოს ალამაზებდა და ასანთებად ემზადებოდა...

კრების მონაწილეები არ ჩქარობდნენ, ნაძვის ხის ანთებასაც დაელოდნენ და ქვეყნის გამთლიანების, ჯანმრთელობისა და წარმატების სურვილებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

***მერი ლაგვილავა***

## ახალი წლის კულტურული ცხოვრების ქრონიკები

### „გაუმარჯოს ახალი წლის პირველ დილის თაიგზე რომ გვათენდება...“

**ახალი წლის დღესასწაულის შემობრძანება წელს ხობის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებულ ამპლუაში გაიმართა. მიუხედავად პანდემიისა, უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.**

**ღონისძიებები მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით და კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.**



ქალაქის ცენტრალურ პარკში კაშკაშებდა მთავარი ნაძვის ხე...

ვულოცავთ ჩვენს ქვეყანას 2022 წელს. სიკეთე, ბედნიერება მოეტანოს ამ წელიწადს საქართველოსთვის. ღმერთმა მოგცეთ ხანგრძლივი დრო სიცოცხლისთვის. სიბრძნე და სათნოება მოგანიჭოთ უფალმა, ერთმანეთის გატანა, ქვეყნის სიყვარული, სულიერი სიმშვიდე და მატერიალური დოვლათი არ მოგაკლოთ.

მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით იმ ფასეულობების ერთობლიობებით, რაც ღმერთმა ადამიანების საკეთილდღეოდ შექმნა.

* * *



კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საახალწლო კონცერტი, სადაც მონაწილეობდნენ ადგილობრივი შემსრულებლები.

ზეიმი ფოიერვერკით დასრულდა.

* * *

გოგო-ბიჭების მხიარულმა ხმებმა გამოაცოცხლა დეკემბრის სუსხიან დღეს ხობის თედო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი აქ აქტიური მკითხველები ზეიმობდნენ.

„...მშვიდობით გევლოს მაცნედ-ნათლისად!
გთხოვ, დამილოცო სამყარო–ვრცელი!“

* * *



კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო საახალწლო ბაზრობა ახალგაზრდებისა და ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით.

* * *



სამუსიკო სკოლაში გაიმართა საახალწლო ზეიმი, სადაც მონაწილეობდნენ სამუსიკო სკოლის მოსწავლეები, ისინი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ინდივიდუალური, საფორტეპიანო ნომრებით, ვოკალური და საგუნდო სიმღერებით, მათ მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა დავით ბუკიამ საახალწლო ნობათით დაასაჩუქრა თითოეული მოსწავლე.

**კულტურული ცხოვრების ქრონიკები მოამზადა ნაირა ბერაიამ**

# 14 იანვარი—ქართული თეატრის დღე

*„ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“*
***კოტე მარჯანიშვილი***

ქართული თეატრის ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეს.

უფლისციხეში აღმოჩენილი ანტიკური პერიოდის სათეატრო ნაგებობა, თავისი სცენითა და მაყურებლისთვის განკუთვნილი ნაწილით ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში კარგად იცნობდნენ თეატრალურ-სანახაობით კულტურას.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული თეატრი ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში.

დღემდე აქტუალურია ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ქართული თეატრი ქართველთათვის ბევრის სიკეთის მომასწავებელია... თეატრი ბევრის შემთხვევაში მარტო ხელოვნების მსახური არ არის. ადგილი, დრო და გარემოება მას ზოგჯერ სხვა სამსახურსაც კისრად სდებს და ამ მხრით თეატრი დაუფასებელი რამ არის და ჩვენ არ ვიცით სხვა მისებრ უებარი საშუალება, რომელიც ეგრე გამარჯვებულად, სწრაფად და პირისპირ მოქმედებდეს ადამიანის უკეთესთა გრძნობათა გამოფხიზლებასა და მოძრაობაზედ“.

ზემოთ თქმულის დასტურად პირველი თეატრალური წარმოდგენა გაიმართა 1850 წლის 2(14) იანვარს, თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში გიორგი ერისთავის რეჟისორობით, მისი მონაწილეობითა და სცენისმოყვარეთა ძალებით. ნაჩვენები იქნა მისივე პიესა „გაყრა“. ამ დღიდან, 14 იანვარი, პროფესიული ქართული თეატრის დღედ ითვლება.

ქართული სათეატრო ხელოვნება, რომელიც ქართულ ხალხურ სანახაობათა წიაღში იშვა, მსგავსად უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლებისა, უძველესი საგალობლებისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილია.

ხელოვნების ყველა სხვა დარგისგან გამორჩევით, სათეატრო შემოქმედება ცოცხალია და რეალურად არსებობს მხოლოდ იმ წუთებში, როდესაც სცენაზე მსახიობების მიერ შექმნილი ცოცხალი ადამიანების ცხოვრება მიმდინარეობს მაყურებლის თვალწინ ცოცხალ კონტაქტში, ერთ საღამოს, დროის გარკვეულ მონაკვეთში. წარმოდგენის დამთავრებისთანავე მთავრდება ნაწარმოების რეალური არსებობა, ამის შემდეგ ის არსებობს მნახველის მეხსიერებაში ან რომელიმე სახის დოკუმენტში.

ჩვენდა საამაყოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1937 წლისთვის ხობის რაიონში უკვე არსებობდა სახელმწიფო-საკოლმეურნეო თეატრი ნიკოლოზ შონიას ხელმძღვანელობით. თეატრი განთავსებული იყო ხის შენობაში, დარბაზი იტევდა 400, ხოლო ლოჟა 200 მაყურებელს. თეატრში ირიცხებოდა 40-მდე მსახიობი. თბილისიდან მოწვეულები იყვნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შალვა მჟავანაძე. რეჟისორები: შურა კოპალაძე, ვასო ცხადაია, ამირან აბშილავა. მსახიობები: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვალოდია ტყეშელაშვილი, ნიკო გოცირიძე, გოგი ალლაძე, თინა ხუციშვილი, თამარ ხიზანიშვილი. ხობელებიდან თამაშობდნენ: შოთა ლოლუა, მიშა თათარიშვილი, გრიგოლ ელიავა, შალვა შენგელია, ვალია ელიავა, თინა ფიფია, შოთა თათარიშვილი, გრიშა ნაჭყებია, ავთანდილ თათარიშვილი, ბოჩო ელიავა, ოთარ ცანავა, ჟორჟი ქანთარია, კატუშა წურწუმია, მ. ალექსანდრია, მ. ლაგვილავა, მ. დგებუაძე.

მხატვარ-დეკორატორი იყო ვიდიკო ვახტანგიძე, სცენის დეკორატორები: აბო გიორგაძე და გრიშა ვალულინი. სუფლიორები: აგრაფინა ცირამუა და ცუცა ელიავა. მათი სახელფასო სარგო შეადგენდა 210 მანეთს.

მაშინდელ სცენაზე განხორციელებულიქნა: „რობინ ჰუდი“, „ჩაძირული ქვები“, „კოლმეურნის ქორწინება“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“, „გოგია უიშვილი“, „ლეკის ქალი გულჯავარი“, „გეგეჭკორი“, „ბრმა მუსიკოსი“, „ციხის საიდუმლო“, „ღმერთი გადის პენსიაზე“, „შხამიანი გველები“ და სხვა.

დრამატული თეატრების დათვალიერებაზე ხობის სახელმწიფო-საკოლმეურნეო თეატრის დადგმას „გეგეჭკორი“ პირველი ადგილი მიეკუთვნა. თეატრი ხობში 1941 წლამდე არსებობდა.

ომის დამთავრების შემდეგ ისევ განახლდა თეატრალური ცხოვრება ხობში. ამჟამად სცენაზე იყვნენ: ტუჩი მირცხულავა, რადიკო ალანია, მიშა შურღაია, კუკური რეკვავა, ლუდუკი ჩაჩიბაია, აპოლონ თათარიშვილი, საშურა ჯალაღონია, თოვლიკო ალანია, შურა ლატარია, ფენია ჩანგელია.

1981 წელს რაიონის ხელმძღვანელის ნუგზარ ნადარაიას ინიციატივით მუშაობას შეუდგა თეატრის მოყვარულთა დასი (რეჟისორი რამაზ ლოლუა). დასის წევრები იყვნენ: მარინა ჯღარკავა, მზევინარ კუტალია, დარეჯან ხვიჩია, გოგი ჯალაღონია, ზურაბ გიგიბერია, რევაზ თოდუა, გოგი ლომაია, ამირან კაკაშვილი, მიშა კალანდია, ამირან ვეკუა, გონერი გოგია, დამირ გერგაია. შემდეგ პერიოდულად დასს შეემატნენ მარინა შამათავა, მაყვალა აბჟანდაძე, ზაალ ალანია, მაია კობახიძე, მზია გვირგვლიანი, მაია ჩხენკელი, ვეფხია გორგოძე, მამუკა მესხიშვილი.

1983 წლის 29 დეკემბრის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით, ხობის სარაიონო კულტურის სახლთან არსებულ თეატრალურ თვითმოქმედ კოლექტივს მიენიჭა „სახალხო თვითმოქმედი თეატრის“ წოდება.



„ფიფქია და შვიდი ჯუჯა“

შეიძლება ბევრი ხობელი თვითმხილველი იყო ამ სპექტაკლებისა და კარგადაც ახსოვს, მაგრამ, მინდა მომავალმა თაობამ იცოდეს, თუ როგორი თეატრალური ცხოვრებით მოვედით დღემდე.

ხობის სახალხო თეატრში **რამაზ ლოლუას** რეჟისორობით დაიდგა შემდეგი სპექტაკლები:

**ვლადიმერ იაკაშვილი „კარიერა“**–მხატვარი რევაზ ლატარია.

**ამირან აბშილავა**–„ადამიანი დაბრუნდა“–მხატვარი რევაზ ლატარია.

**თემურ აბულაშვილი–„ფრინველების საქორწინო ცეკვები“**–მხატვარი ემილ გეგენავა.

**გენო და ზაურ კალანდიები–„მე შეცდომილი“**–მხატვარი ემილ გეგენავა.

**ნოდარ დუმბაძე–„სისხლი“**–მხატვარი ციცინო ალანია.

**თეატრალიზებული სპექტაკლი–„მაია დადიანი“**–მხატვარი ციცინო ალანია.

**გურამ ბათიაშვილი–„ლალი, სიყვარული და სხვები“**–მხატვარი ციცინო ალანია.

**რაფიელ ერისთავი–„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“**–მხატვარი ემილ გეგენავა.

**ნ.ხუნწარია–„ცოლი ხუთი წუთით ანუ სტუდენტური ოინები“**–მხატვარი ემილ გეგენავა.

**ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით–„მთიდან ბღავილი ხარისა“**–მხატვარი ემილ გეგენავა.

**ჯემალ მონიავა–„ჯვარცმული ბედნიერება“**–მხატვარი ემილ გეგენავა.

**ლაშა თაბუკაშვილი–„ჭრილობა“**–მხატვარი დავით კამკამიძე.

**გალაკტიონის ლექსების მიხედვით ლიტ-მუს. კომპოზიცია“–„მარტოობის რაინდი“**–მხატვარი ემილ გეგენავა.

**ჯემალ მონიავა–„ქორწინება განქორწინებით“**–მხატვარი ემილ გეგენავა, ხმის ოპერატორი: ცირა ხურცია ტექ.რეჟ. იზოლდა ცირდავა.

**ნ. დუმბაძის–„სისხლის“ მიხედვით „მე, ბებია და ბაბუა“**–მხატვარი ემილ გეგენავა.

**გიორგი სოსიაშვილის–„მავთულხლართი“**–მხატვარი ემილ გეგენავა.

ასევე დადგმულიქნა **ტომას ბრანდონის–„ჩარლის დეიდა“**–რეჟისორი ანზორ გვაძაბია, მხატვარი რევაზ ლატარია და **რეზო კლდიაშვილის–„იადონას თეატრი“**–რეჟისორი ირაკლი გოგია, მხატვარი მარიკა კორკელია.

ხობის თეატრალურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის „შემოქმედების ჯადოსნურ სამყაროში“ ჩართვაში დიდი



წვლილი მიუძღვის ბავშვთა თეატრს, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ 1995 წელს, სამოქალაქო ომის უმძიმეს წლებში ჩავუყარე. ახლა, მხოლოდ იმ სპექტაკლების ჩამოთვლით შემოვიფარგლები, რომლებიც შეფერხებებით, თანადგომით, შურით, გატანით, გაუტანლობით, აღმაფრენით, სიხარულით, ტკივილით, გამარჯვებებით, პანდემია გამოვლით დღემდე განვახორციელეთ.

ს. ჭეიშვილის „დაიყივლე, მამალო!“ 1995 წ.

თ. მეტრეველი „ბუ და პატარა ობობა“ 2013წ.

გ. ნახუცრიშვილი „ნაცარქექია“ 2014 წ.

აკ.წერეთელი „ნათელა“ 2015 წ.

ნ. დუმბაძე „HELLADOSO“ 2016 წ.

ვაჟა-ფშაველა „სტუმარ-მასპინძელი“ 2016 წ.

ნ. დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით „საქართველო ჩემი სამშობლოა“ 2016 წ.

ძმები გრიმების ზღაპრის მიხედვით, „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ 2019 წ.

ბავშვები საოცრად ფაქიზი სულის ადამიანები არიან. ისინი ხომ, პირველად დგანან სცენაზე ასობით მაყურებლის წინაშე... ღელავენ, განიცდიან, მათი პაწია გულები საგულედან ამოვარდნას ლამობენ, ძალას არ იშურებენ, რათა, თავი მოგაწონონ და იქნებ შეგაყვარონ კიდეც....ბავშვმა, ისწავლოს როლი, გაითავისოს, განიცადოს, ითამაშოს, განგაცდევინოს და საკუთარი გრძნობების მორევში ჩაგითრიოს, ჩაგაფიქროს, იტიროს, შენც აგატიროს, იცინოს და შენც გულიანად გახარხაროს, შემოქმედისგან დიდ ენერგიას, გამოცდილებას, დაუღალავ შრომას, საქმის სიყვარულს და დიდ სამსახიობო ოსტატობას მოითხოვს...მათ ჩვენი თანადგომა სჭირდებათ. ჩვენ, უფროსებმა ბევრი უნდა ვიფიქროთ, ვიშრომოთ, ვისაც ხელეწიფება-დავაფინანსოთ, გავახაროთ ბავშვები, ჩვენი ხვალინდელი დღე, რადგან ეს...საჭიროა!...აუცილებელია!... მოზარდ თაობას სწორედ ახლა სჭირდება სულიერი საზრდო! ....თეატრი ხომ მათი სულიერი თუ ესთეტიკური გემოვნების სამჭედლოა!

მინდა გავიხსენო 2002 წელი, კიდევ ერთი „დღე-სასწაული“, როცა ხობში პირველად, ბატონ რევაზ თოდუას ინიციატივითა და „ხობის განვითარების ასოციაციის“ თავმჯდომარის, ბატონ ტარიელ ჩარგაზიას ფინანსური მხარდაჭერით შედგა სატირისა და იუმორის თეატრის სპექტაკლის საპრემიერო ჩვენება. წარმოდგენილი იქნა ნ.ხუნწარიას „დაწუნებული სასიძო“. რეჟისორი: რევაზ თოდუა, მხატვარი: ირა სიხარულია, ინსცენირება: მარინა ჯღარკავა, ოპერატორი: კობა კუტალია. მონაწილეობდნენ: რეზო თოდუა, ზურაბ (ცარა) სიჭინავა, ლაშა ჯგერენაია, მარინა ჯღარკავა, მზევინარ კუტალია.

ასევე, შთამბეჭდავი იყო 2016 წელს, ერთი მსახიობის თეატრის დაარსება, ქალბატონ მანანა შამათავას მიერ. ნაჩვენები იქნა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ - მიხედვით, სპექტაკლი „მარტოსული“. რეჟისორი: მანანა შამათავა, მხატვარი: ირა სიხარულია. მონაწილეობდნენ: შორენა და მეგი წულაიები.

2019 წელს კი ვიხილეთ მწერალ ლაშა გვასალიას იმავე სახელწოდების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ჯასტაგანი“. ინცენირება და რეჟისურა: მანანა შამათავა, მხატვარი: ირა სიხარულია.

მონაწილეობდნენ: საბა სარჩიმელია და მარი შულაია.

სპექტაკლებმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ახლა კი, თეატრალური ცხოვრების ბოლო მიღწევებზე მინდა გესაუბროთ. გასული, 2021 წლის 14-19 დეკემბერს ბაკურიანში ჩატარდა მე-3 შემოქმედებითი ფესტივალი–„ფანტელი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა შემოქმედთა ასოციაცია „რევერანსი“. ფესტივალზე მიწვეული იყო ხობის თოჯინების თეატრი. გამოწვევა ძალიან დიდი იყო, რადგან კონკურენციას სახელმწიფო პროფესიული თეატრები გვიწევდნენ. ფესტივალზე წარმოდგენილიქნა სპექტაკლი „სამი მეგობარი“. მონაწილეობდნენ: მარინე ჯღარკავა, მანანა შამათავა, ნინო ქარჩავა, თენგიზ ჩიტაია. რეჟისორი და ინსცენირების ავტორი მანანა შამათავა, ტექ.რეჟისორი: ანჟელა ქანთარია, მხატვარი: ირა სიხარულია, ქორეოგრაფი: თენგიზ ჩიტაია, ოპერატორი: ბადრი ალანია. შემოქმედებითი ჯგუფი ფესტივალის რეგლამენტის ფარგლებში ხუთი დღე იმყოფებოდა ბაკურიანში ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებით. თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სიგელები „ეროვნულ-კულტურული ტრადიციების დამკვიდრებისა და ზნეობრივ-ესთეტიკური ინტერესების განვითარებისთვის“ გადაეცა ყველა მსახიობს, თეატრს და რეჟისორს ფესტივალის სუვენირები და დიპლომი ნომინაციაში: „სამოყვარულო თოჯინური ხელოვნების განსაკუთრებული სიყვარულისათვის“ რა თქმა უნდა ერთი საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს, ვერ ამოწურავს იმ განცდებს, ემოციებს, შთაბეჭდილებებს, რასაც თეატრი გვჩუქნის, მაგრამ წინ ახალი, საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება გველის, ძალიან ლამაზი, ფერადი, შრომატევადი, მაგრამ სიყვარულით სავსე დღეები, რადგან ჩვენ თეატრით ვცხოვრობთ, რადგან ჩვენ გვინდა ცხოვრება გაგილამაზოთ და გაგიხალისოთ!

ქართველმა ხალხმა 14 იანვარს, ქართული პროფესიული თეატრის დღე 172-ედ იზეიმა.

გილოცავთ ყველას, ვისაც თეატრი გიყვართ!

ვინც თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე ზრუნავთ!

ვინც ამ ტაძრის კედლებში იღწვის, რათა თქვენ სიხარული მოგანიჭოთ!

საინტერესო სპექტაკლები, კარგი მაყურებელი და „დღე სასწაულები“ ნუ მოგიშალოთ ღმერთმა!

***მარინა ჯღარკავა***

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №17

ქ. ხობი — 2021 წლის 29 დეკემბერი

### ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

**საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.**

განისაზღვროს:

ა) შემოსულობები–13682,5 ათასი ლარით;

ბ) გადასახდელები–13682,5 ათასი ლარით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი–2235.0 ათასი ლარით, მათ შორის:

გ.ა) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად–235,0 ათასი ლარი;

გ.ბ) ცენტრალური სსიპ(ებ)-დან ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის 2000,0 ათასი ლარი;

დ) სარეზერვო ფონდი–90,0 ათასი ლარით;

ე) ვალდებულებების ცვლილება, კლება 46,0 ათასი ლარით.

**მუხლი 2.**

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართულის სახით.

**მუხლი 3.**

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილება (www.matsne.gov.ge 30/12/2019, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016353).

**მუხლი 4.**

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

**ლევან ქავთარაძე,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

დანართი

## ხობის მუნიციპალიტეტის 20221 წლის ბიუჯეტი

### თავი I

### ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა: სულ | 2021: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2021: მათ შორის საკუთარი შემოსავლები | 2022 წლის გეგმა: სულ | 2022: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2022: მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **17504-.0** | **18291-.4** | **7869.0** | **10422.-4** | **13121.8** | **2000.0** | **11121.8** |
| გადასახადები | 9116.2 | 9518.0 | 0.0 | 9518.0 | 9916.0 | 0.0 | 9916.0 |
| გრანტები | 7336.7 | 8079.0 | 7869.0 | 210.0 | 2235.0 | 2000.0 | 235.0 |
| სხვა შემოსავლები | 1051.1 | 694.4 | 0.0 | 694.4 | 970.8 | 0.0 | 970.8 |
| **ხარჯები** | **7845.4** | **9963.4** | **739.7** | **9223.7** | **11069.0** | **0.0** | **11069.0** |
| შრომის ანაზღაურება | 1929.4 | 2047.1 | 0.0 | 2047.1 | 3492.4 | 0.0 | 3492.4 |
| საქონელი და მომსახურება | 1471.9 | 2302.4 | 549.7 | 1752.7 | 1509.9 | 0.0 | 1509.9 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 35.7 | 37.0 | 0.0 | 37.0 | 21.0 | 0.0 | 21.0 |
| სუბსიდიები | 3588.2 | 4557.8 | 0.0 | 4557.8 | 5267.7 | 0.0 | 5267.7 |
| გრანტები | 3.9 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 423.6 | 487.7 | 0.0 | 487.7 | 509.0 | 0.0 | 509.0 |
| სხვა ხარჯები | 392.7 | 501.4 | 190.0 | 311.4 | 239.0 | 0.0 | 239.0 |
| საოპერაციო სალდო | 9658.6 | 8328.0 | 7129.3 | 1198.7 | 2052.8 | 2000.0 | 52.8 |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **8409.4** | **11361.-9** | **7284.2** | **4077.7** | **2006.8** | **2000.0** | **6.8** |
| ზრდა | 9086.1 | 11391.9 | 7284.2 | 4107.7 | 2567.5 | 2000.0 | 567.5 |
| კლება | 676.7 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 560.7 | 0.0 | 560.7 |
| | | | | | | | |
| **მთლიანი სალდო** | **1249.2** | **-3033-.9** | **-154.9** | **-2879.0** | **46.0** | **0.0** | **46.0** |
| | | | | | | | |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **1133.6** | **-3093-.9** | **-154.9** | **-2939.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| ზრდა | 1215.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1215.1 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **კლება** | **81.5** | **3093.9** | **154.9** | **2939.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 81.5 | 3093.9 | 154.9 | 2939.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | | | | | | | |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **-115.6** | **-60.0** | **0.0** | **-60.0** | **-46.0** | **0.0** | **-46.0** |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **კლება** | **115.6** | **60.0** | **0.0** | **60.0** | **46.0** | **0.0** | **46.0** |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 115.6 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 46.0 | 0.0 | 46.0 |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |

**მუხლი 2.**

**ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა: სულ | 2021: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2021: მათ შორის საკუთარი შემოსავლები | 2022 წლის გეგმა: სულ | 2022: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2022: მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | | **18180.7** | **18321.4** | **7869.0** | **10452.4** | **13682.5** | **2000.0** | **11682.5** |
| შემოსავლები | 1 | 17504.0 | 18291.4 | 7869.0 | 10422.4 | 13121.8 | 2000.0 | 11121.8 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 676.7 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 560.7 | 0.0 | 560.7 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით) | 32 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | | **17047-.1** | **21415.3** | **8023.9** | **13391.4** | **13682.5** | **2000.0** | **11682.5** |
| ხარჯები | 0.0 | 7845.4 | 9963.4 | 739.7 | 9223.7 | 11069.0 | 0.0 | 11069.0 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | | 9086.1 | 11391.9 | 7284.2 | 4107.7 | 2567.5 | 2000.0 | 567.5 |
| ვალდებულებების კლება | | 115.6 | 60.0 | | 60.0 | 46.0 | | 46.0 |
| ნაშთის ცვლილება | | 1133.6 | -3093.9 | -154.9 | -2939.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

# ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

4

## მუხლი 3. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 13121,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა: სულ | 2021: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2021: საკუთარი შემოსავლები | 2022 წლის გეგმა: სულ | 2022: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2022: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **17,50-4.0** | **18,29-1.4** | **7,869.0** | **10,422-.4** | **13,121.8** | **2,000.0** | **11,121.8** |
| დამატებითი ღირ. გადასახადი | 3,618.3 | 4,718.0 | | 4,718.0 | 5,916.0 | | 5,916.0 |
| საშემოსავლო გადასახადი | | 0.0 | | | 0.0 | | |
| ქონების გადასახადი | 5,497.9 | 4,800.0 | 0.0 | 4,800.0 | 4,000.0 | 0.0 | 4,000.0 |
| გრანტები | 7,336.7 | 8,079.0 | 7,869.0 | 210.0 | 2,235.0 | 2,000.0 | 235.0 |
| სხვა შემოსავლები | 1,051.1 | 694.4 | 0.0 | 694.4 | 970.8 | | 970.8 |

## მუხლი 4. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 9916.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა: სულ | 2021: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2021: საკუთარი შემოსავლები | 2022 წლის გეგმა: სულ | 2022: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2022: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გადასახადები** | **11** | **9116.2** | **9518.0** | **0.0** | **9518.0** | **9916.0** | **0.0** | **9916.0** |
| ქონების გადასახადი | 113 | 5497.9 | 4800.0 | 0.0 | 4800.0 | 4000.0 | 0.0 | 4000.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 2358.7 | 2648.0 | | 2648.0 | 1848.0 | | 1848.0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113112 | 0.2 | 0.0 | | | 0.0 | | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 5.1 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1131131 | 0.0 | 2.0 | | 2.0 | 2.0 | | 2.0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 1131132 | 5.1 | 0.0 | | | 0.0 | | |
| **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე** | **113114** | **338.4** | **320.0** | **0.0** | **320.0** | **300.0** | **0.0** | **300.0** |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131141 | 114.0 | 110.0 | | 110.0 | 95.0 | | 95.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131142 | 224.4 | 210.0 | | 210.0 | 205.0 | | 205.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113115 | 2795.5 | 1830.0 | 0.0 | 1830.0 | 1850.0 | 0.0 | 1850.0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131151 | 36.2 | 60.0 | | 60.0 | 40.0 | | 40.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131152 | 2759.3 | 1770.0 | | 1770.0 | 1810.0 | | 1810.0 |
| სხვა გადასახადები | 116 | 3618.3 | 4718.0 | | 4718.0 | 5916.0 | | 5916.0 |

## მუხლი 5. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **2235.0** ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა: სულ | 2021: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2021: საკუთარი შემოსავლები | 2022 წლის გეგმა: სულ | 2022: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2022: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გრანტები** | **13** | **7336.7** | **7670.0** | **7460.0** | **210.0** | **2235.0** | **2000.0** | **235.0** |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 7336.7 | 7670.0 | 7460.0 | 210.0 | 2235.0 | 2000.0 | 235.0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 1311 | 524.3 | 555.2 | 345.2 | 210.0 | 235.0 | 0.0 | 235.0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 524.3 | 555.2 | 345.2 | 210.0 | 235.0 | | 235.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 1312 | 6812.4 | 7114.8 | 7114.8 | 0.0 | 2000.0 | 2000.0 | 0.0 |
| გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან | | | 1000.0 | 1000.0 | | 2000.0 | 2000.0 | |
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | | 6043.5 | 5330.8 | 5330.8 | | 0.0 | | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 768.9 | 784.0 | 784.0 | | 0.0 | | |
| პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| მთავრობის სარეზერვო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |

## მუხლი 6. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **970,8** ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა: სულ | 2021: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2021: საკუთარი შემოსავლები | 2022 წლის გეგმა: სულ | 2022: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2022: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **14** | **1051.1** | **694.4** | **0.0** | **694.4** | **970.8** | **0.0** | **970.8** |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141 | 477.6 | 300.1 | 0.0 | 300.1 | 420.0 | 0.0 | 420.0 |
| პროცენტები | 1411 | 281.7 | 155.1 | | 155.1 | 190.0 | | 190.0 |
| რენტა | 1415 | 195.9 | 145.0 | 0.0 | 145.0 | 230.0 | 0.0 | 230.0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | 160.4 | 125.0 | | 125.0 | 160.0 | | 160.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | 35.5 | 20.0 | | 20.0 | 70.0 | | 70.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 76.7 | 74.3 | 0.0 | 74.3 | 70.8 | 0.0 | 70.8 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 62.2 | 41.8 | 0.0 | 41.8 | 42.8 | 0.0 | 42.8 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 41.8 | 9.0 | | 9.0 | 10.0 | | 10.0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 142212 | 0.2 | 0.0 | | | 0.0 | | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 142214 | 20.2 | 32.8 | | 32.8 | 32.8 | | 32.8 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 1423 | 14.5 | 32.5 | 0.0 | 32.5 | 28.0 | 0.0 | 28.0 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 14232 | 14.5 | 32.5 | | 32.5 | 28.0 | | 28.0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 482.5 | 320.0 | | 320.0 | 480.0 | | 480.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 145 | 14.3 | 0.0 | | | 0.0 | | |

## მუხლი 7. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **11069,0** ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა: სულ | 2021: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2021: საკუთარი შემოსავლები | 2022 წლის გეგმა: სულ | 2022: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2022: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ხარჯები** | **7845.4** | **9963.4** | **739.7** | **9223.7** | **11069.0** | **0.0** | **11069.0** |
| შრომის ანაზღაურება | 1929.4 | 2047.1 | 0.0 | 2047.1 | 3492.4 | 0.0 | 3492.4 |
| საქონელი და მომსახურება | 1471.9 | 2302.4 | 549.7 | 1752.7 | 1509.9 | 0.0 | 1509.9 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 35.7 | 37.0 | 0.0 | 37.0 | 21.0 | 0.0 | 21.0 |
| სუბსიდიები | 3588.2 | 4557.8 | 0.0 | 4557.8 | 5267.7 | 0.0 | 5267.7 |
| გრანტები | 3.9 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 423.6 | 487.7 | 0.0 | 487.7 | 509.0 | 0.0 | 509.0 |
| სხვა ხარჯები | 392.7 | 501.4 | 190.0 | 311.4 | 239.0 | 0.0 | 239.0 |

## მუხლი 8. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **2567,4** ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 9,086.1 | 11,391.9 | 2,567.5 |

ბ) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება **560,7** ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 676.7 | 30.0 | 560.7 |
| ძირითადი აქტივები | 0.5 | | 0.0 |
| მატერიალური მარაგები | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 676.2 | 30.0 | 560.7 |
| მიწა | 676.2 | 30.0 | 560.7 |

## მუხლი 9. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული ფორმით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა: სულ | 2021: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2021: საკუთარი შემოსავლები | 2022 წლის გეგმა: სულ | 2022: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2022: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **701** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **2616.6** | **3207.6** | **0.0** | **3207.6** | **4726.7** | **0.0** | **4726.7** |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2580.7 | 3170.6 | 0.0 | 3170.6 | 4705.7 | 0.0 | 4705.7 |
| 7011-1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2472.9 | 2979.6 | 0.0 | 2979.6 | 4448.7 | 0.0 | 4448.7 |
| 7011-2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 107.8 | 191.0 | 0.0 | 191.0 | 257.0 | 0.0 | 257.0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 35.9 | 37.0 | 0.0 | 37.0 | 21.0 | 0.0 | 21.0 |
| **704** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **6911.1** | **9802.5** | **6263.5** | **3539.0** | **1448.2** | **0.0** | **1448.2** |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 942.0 | 1005.8 | 784.0 | 221.8 | 157.3 | 0.0 | 157.3 |
| 704-21 | სოფლის მეურნეობა | 942.0 | 1005.8 | 784.0 | 221.8 | 157.3 | 0.0 | 157.3 |
| 7045 | ტრანსპორტი | 5637.5 | 8496.7 | 5479.5 | 3017.2 | 990.9 | 0.0 | 990.9 |
| 704-51 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 5637.5 | 8496.7 | 5479.5 | 3017.2 | 990.9 | 0.0 | 990.9 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 331.6 | 300.0 | 0.0 | 300.0 | 300.0 | 0.0 | 300.0 |

6

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

5

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **705** | **გარემოს დაცვა** | **409.3** | **503.0** | **0.0** | **503.0** | **261.1** | **0.0** | **261.1** |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 352.1 | 255.6 | 0.0 | 255.6 | 237.1 | 0.0 | 237.1 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 57.2 | 247.4 | 0.0 | 247.4 | 24.0 | 0.0 | 24.0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 3138.6 | 3012.4 | 1000.0 | 2012.4 | 2507.0 | 2000.0 | 507.0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 65.4 | 151.0 | 0.0 | 151.0 | 22.0 | 0.0 | 22.0 |
| **706-4** | **გარე განათება** | **284.1** | **440.4** | **0.0** | **440.4** | **410.0** | **0.0** | **410.0** |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 2789.1 | 2421.0 | 1000.0 | 1421.0 | 2075.0 | 2000.0 | 75.0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 182.7 | 212.5 | 0.0 | 212.5 | 211.7 | 0.0 | 211.7 |
| 707-2 | ამბულატორიული მომსახურება | 39.1 | 45.3 | 0.0 | 45.3 | 45.3 | 0.0 | 45.3 |
| 707-24 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | 39.1 | 45.3 | 0.0 | 45.3 | 45.3 | 0.0 | 45.3 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 143.6 | 167.2 | 0.0 | 167.2 | 166.4 | 0.0 | 166.4 |
| **708** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **1033.7** | **1463.0** | **0.0** | **1463.0** | **1607.3** | **0.0** | **1607.3** |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 193.9 | 264.2 | 0.0 | 264.2 | 308.8 | 0.0 | 308.8 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 32.9 | 53.0 | 0.0 | 53.0 | 53.7 | 0.0 | 53.7 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 806.9 | 1145.8 | 0.0 | 1145.8 | 1244.8 | 0.0 | 1244.8 |
| 709 | განათლება | 2296.3 | 2507.4 | 570.4 | 1937.0 | 2403.1 | 0.0 | 2403.1 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1549.9 | 1916.1 | 0.0 | 1916.1 | 2379.1 | 0.0 | 2379.1 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 746.4 | 591.3 | 570.4 | 20.9 | 24.0 | 0.0 | 24.0 |
| 709-23 | საშუალო ზოგადი განათლება | 746.4 | 591.3 | 570.4 | 20.9 | 24.0 | 0.0 | 24.0 |
| **710** | **სოციალური დაცვა** | **343.2** | **646.9** | **190.0** | **456.9** | **471.4** | **0.0** | **471.4** |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 153.1 | 214.8 | 0.0 | 214.8 | 217.0 | 0.0 | 217.0 |
| 7101-1 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 153.1 | 214.8 | 0.0 | 214.8 | 217.0 | 0.0 | 217.0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 81.0 | 87.5 | 0.0 | 87.5 | 96.0 | 0.0 | 96.0 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 73.8 | 80.3 | 0.0 | 80.3 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 35.3 | 264.3 | 190.0 | 74.3 | 58.4 | 0.0 | 58.4 |
| | **სულ** | **16931.5** | **21355.3** | **8023.9** | **13331.4** | **13636.5** | **2000.0** | **11636.5** |

**მუხლი 10. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 46,0 ათასი ლარით.

**მუხლი 11. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 -ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 -ით.

**მუხლი 12. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 46,0 ათასი ლარით.

**მუხლი 13. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**მუხლი 14. ხობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 235.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 118,1 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 110,9 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 6,0 ათასი ლარი;

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქრთველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II
## ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 01 01 03)**

თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

**ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 01 03)**

პროგრამით ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა ჯამრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა–შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების, ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 02 01)**

**ა.ა) გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. პერსპექტივაში ამ მიმართულებით გაგრძელდება ასიგნებების გამოყოფა.

**ა.ბ) ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 02)**

ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მგდომარეობის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია. სათანადო რესურსების შემთხვევაში ამ კუთხით ასიგნებები კვლავ გამოიყოფა.

**ბ) კომუნალური ინფრასრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02)**

**ბ.ა) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 02 01)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს გარე განათების მოვლა-შენახვის ღონისძიებების გახორციელებას;

**ბ.ბ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)**

მომავალ წლებში გათვალისწინებულ იქნება სოფლების წყალმომარაგების პრობლემების მნიშვნელოვანწილად გადაჭრა.

**ბ.გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 03)**

პერსპექტივაში კვლავ გრძელდება საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

**ბ.დ) სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 04)**

რეგიონის ჭარბნალექიანობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხებს.

**ბ.ე) მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)**

შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დაწესებულებების სასმელი წყლით მომარაგებას, ასევე ქ. ხობის მოსახლეობისა და ქ. ხობში განთავსებული დაწესებულებებისთვის წყალარინებით მომსახურების უზრუნველყოფას.

**გ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)**

მუნიციპალიტეტისათვის ამ მეტად პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში საჭირო იქნება ცენტრალური ბიუჯეტიდან სათანადო სახსრების გამოყოფა.

**დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)**

პროექტი ხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მიმართულებებზე, გა-

7

# ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

6

მოკვეთილია გზები, სანიაღვრე არხები და წყალმომარაგების სისტემები.

**ე) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 06)**

პროგრამით ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გამოყფილი "ასიგნებებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

**ვ) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 07)**

ერთობლივად დაფუძნებული კერძო სამართლის ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი" აწარმოებს უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავებას, ორგანიზაცია მოახდენს რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას კერძო და საჯარო სექტორში რეგიონული ტურიზმის პოპულარიზებისათვის.

**3. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02)**

შპს „ხობი დასუფთავება და განათება" უზრუნველყოფს ქალაქის სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების ღონისძიებების გახორციელებას, გააჩნია შესაბამისი ტექნიკა.

**4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

**ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1100 ბავშვი. ხდება არსებული მატერიალური ბაზის განახლება და ახლის შექმნა.

**5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

**ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

**ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)**

მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ზრდის სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსებას. 2022 წლისათვის გათვალისწინებული პროექტით - 10,0 ათასი ლარი.

**ა.ბ) ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)**

მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხდება ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალთა გუნდის ტურნირების დაფინანსება, რაც 2022 წლისათვის შეადგენს 280,8 ათას ლარს.

**ა.გ) სტადიონების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)**

ხდება არსებული სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა.

**ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

**ბ.ა) ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ამ კუთხით გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია ისტორიული ძეგლების მონიტორინგისათვის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

**ბ.ბ) კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)**

დაგეგმილია სხვადასხვა თემატური ღონისძიება, ხალხური პოეზიის გამოვლენა და შემოქმედ ოჯახებთან შეხვედრა, ახალგაზრდა თაობის ჩართვით.

**გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები (მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა, ახალგაზრდების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინიცირებული პროექტების თანადაფინანსება).

**დ) კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)**

